



ფოტო: ენგურის ხიდი. ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/45181>

**ერთი ნაბიჯით ახლოს –
საქართველო, ევროკავშირთან
ინტეგრაცია და კონფლიქტის
დარეგულირება?**



ავტორები:

პაატა გაფრინდაშვილი
მარიამ წიწიკაშვილი
გოგი ზოიძე

თბილისი

2019

საქართველოს რეფორმების ასოციაციის შესახებ

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS“ არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში. საკუთარი საქმიანობით და ინიციატივებით, GRASS-ი ახორციელებს როგორც დემოკრატიული რეფორმების იმპლემენტაციის, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, ასევე საქართველოს ევროპეიზაციის მიმდინარე პროცესის მხარდაჭერას. 2013 წლიდან დღემდე GRASS-ის ერთ-ერთ ძირითად სამუშაო პროგრამას კონფლიქტის თემატიკა წარმოადგენს, სადაც ძირითადი ფოკუსი აფხაზეთის მიმართულეზაზეა. GRASS-ის ორგანიზებით თბილისიდან და სოხუმიდან დაინტერესებული პირების მონაწილეობით თანამშრომლობისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. აფხაზეთთან დაკავშირებულ ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების საკითხებში, GRASS-ი მტკიცედ უჭერს მხარს სტატუს-ნეიტრალურ მიდგომას, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს მთავრობის 2018 წლის სამშვიდობო ინიციატივაში, სახელად „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. GRASS-მა უზრუნველყო სოხუმში შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხების შექმნა და ორგანიზება გაუწია 1.5 დიალოგის ფორმატის დისკუსიებს შესაბამისი პირების მონაწილეობით ვაჭრობის, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

შენიშვნა

ნაშრომის ავტორები მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ტექსტში გამოყენებული ტერმინები (როგორებიცაა, მაგალითად „დე-ფაქტო მინისტრი“, „აფხაზეთის ექსპორტი/იმპორტი“ და ა.შ.) გამოყენებულია დე-ფაქტო ხელისუფლების პოზიციების/შეხედულებების განმარტების მიზნით და არ ასახავს მკვლევარების პოზიციებსა და მოსაზრებებს.

რეზიუმე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომიდან 11 წლის შემდეგ, კონფლიქტი კვლავ მოუგვარებელია, რადგან რუსეთი აგრძელებს საქართველოს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციას, ხოლო პარალელურ რეჟიმში აძლიერებს სამხედრო ყოფნას და აფერხებს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვას. კრემლის უკანონო ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო ცდილობს ჩართულობის პოლიტიკა განახორციელოს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს გაყოფილ მოსახლეობას შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებთათვის საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომ, მათ შორის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და პრივილეგიებზე წდომის უზრუნველყოფას. ამ მიზნით, თბილისი კომუნიკაციის სხვადასხვა არხების მეშვეობით ცდილობს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან და სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან ურთიერთობები განავითაროს. 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ წამოაყენა ახალი ინიციატივა სახელად „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელშიც ოკუპაციით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ვაჭრობისა და განათლების სფეროებში ურთიერთობების ინსტრუმენტებია გათვალისწინებული.

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების და „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივის გათვალისწინებით, აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია თბილისისა და სოხუმს შორის სავაჭრო ურთიერთობების შესაძლო ზეგავლენა ნდობის მშენებლობისა და შერიგების პროცესზე. ნაშრომში ასევე ყურადღება ეთმობა განათლების სფეროში თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს და შესაბამის რეკომენდაციებს. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს აფხაზეთმა საქართველოს ევროპეიზაციის საერთო პროცესიდან, მათ შორის აფხაზეთის ბიზნესის და მომხმარებლების მიერ ევროკავშირ-საქართველოს შორის ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით სარგებლობის შედეგად.

სარჩევი

რეზიუმე	2
შესავალი	4
ისტორიული ექსკურსი	6
ახალი რეალობა: 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები	8
კონფლიქტის დარეგულირების ფორმატები და ინსტრუმენტები	12
თბილისის მიდგომა ნდობის მშენებლობის მიმართ	14
ახალი შესაძლებლობები განათლების სფეროში	16
აფხაზეთი - ეკონომიკური წანამდვრები	17
შესაძლებლობის ფანჯარა	21
ევროკავშირთან ვაჭრობა - რეალური შესაძლებლობა	23
დასკვნა	30

შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს უახლეს ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რუსეთთან არსებული კონფლიქტები აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებით. პოლიტიკური დარეგულირების მიზნით გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად, კონფლიქტის მოგვარება კვლავაც ვერ ხერხდება. 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა და ოფიციალურად პოზიციონირდა როგორც კონფლიქტის მხარე. ამის შემდეგ, მოსკოვმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო და პოლიტიკური ყოფნის მუდმივი გაძლიერების პროცესი წამოიწყო და ანექსიის საფრთხე შექმნა. საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად¹ აღნიშნული რეგიონები რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარა და საკუთარ მიზნად არაღიარება და დეოკუპაცია გამოაცხადა. რუსეთი აღნიშნულ კონფლიქტებს საკუთარი სტრატეგიული მიზნის მიღწევის, კერძოდ კი საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის „პრივილიგირებული ინტერესების სფეროში“ მოქცევის ინსტრუმენტად განიხილავს. აღნიშნულის ფონზე, საქართველოში შეიზღუდა ნდობის მშენებლობის სივრცე და ადგილზე არსებული უსაფრთხოების გარემო გაუარესდა.

მშვიდობის მშენებლობის პროცესის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, თბილისი კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენებით, როგორც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები საზოგადოებების, ისე სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების მიმართ, ჩართულობის პოლიტიკის გატარებას ცდილობს. 2010 წელს, საქართველოს მთავრობამ „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ - ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. 2018 წელს, აღნიშნულიდან თითქმის 10 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ წამოაყენა ახალი ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელშიც გათვალისწინებულია ოკუპაციით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების ინსტრუმენტები ვაჭრობისა და განათლების სფეროებში. აღნიშნულ ინიციატივებს როგორც სამოქალაქო საზოგადოების და საქართველოში მოქმედი ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდამჭერა გააჩნიათ და მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ის დადებით ზეგავლენას იქონიებს შემდგომ წლებში კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ

¹2018 წლის 24 აგვისტოს საქართველოში ვიზიტის დროს, ანგელა მერკელმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სტატუსის აღწერის მიზნით ტერმინი ოკუპაცია გამოიყენა. იხ.: <https://grass.org.ge/uploads/other/2018-12-17/139.pdf>

აღნიშნულ ინიციატივებზე საჯაროდ უარის თქმის მიუხედავად, ამ ინიციატივებით შესაძლებელი გახდა რუსული კონტროლის გაძლიერების წინააღმდეგ განწყობილი აფხაზური საზოგადოების ნაწილის და ბიზნეს წრეების დაინტერესება. არსებული გარემოებები ქმნის ნდობის მშენებლობისთვის საჭირო შესაძლებლობის ფანჯარას განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა წარმატებით შეძლებს რუსეთის შეკავებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისგან.

წარმოდგენილი ნაშრომი ფოკუსირებულია აფხაზეთზე და ანალიზებს თბილისსა და სოხუმს შორის სავაჭრო ურთიერთობების შესაძლო ზეგავლენას ნდობის მშენებლობისა და შერიგების პროცესზე. ნაშრომში განხილულია, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს აფხაზეთმა საქართველოს ევროპეიზაციის საერთო პროცესიდან, მათ შორის აფხაზური ბიზნესის და მომხმარებლების მიერ ევროკავშირ-საქართველოს შორი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით სარგებლობის შედეგად. ნაშრომში ყურადღება ასევე ეთმობა განათლების სფეროში თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს და შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებას.

ცალკე აღებული ნდობის მშენებლობის ზომები კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებას ვერ უზრუნველყოფენ, თუმცა მოლდოვისა და კვიპროსის მაგალითებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვაჭრობისა და განათლების სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ელიტებისა და საზოგადოებების დონეზე ნდობის მშენებლობის პროცესში. კონფლიქტის სამგანზომილებიანობის - რუსეთსა და დასავლეთს, რუსეთსა და საქართველოს და აფხაზურ და ქართულს თემებს შორის² - შედეგად შექმნილმა კომპლექსურობამ თანამშრომლობის მარგინალიზება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, პროგრესის მიღწევა კვლავაც შესაძლებელია. საბოლოო ჯამში, ეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებებს შორის, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებში წვლილის შეტანის პროცესში.

აღნიშნული ნაშრომი არ ფარავს ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს.³ ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა სამაგიდო კვლევას, ასევე თბილისსა და სოხუმში

²აღნიშნული მითითებულია 2010 წელს მიღებულ დოკუმენტში „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: „ქართულობა თანამშრომლობის გზით“. ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)

³აფხაზი კოლეგებისგან განსხვავებით, ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონის პოლიტიკური ელიტები მხარს უჭერენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეას. გარდა ამისა, ისინი ხშირად ადანაშაულებენ აფხაზურ ელიტებს რუსეთთან „გაერთიანების“ წინააღმდეგობის გამო აღნიშნული პროცესის ხელშეშლაში. შესაბამისად, ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, ანექსიის საფრთხე უფრო მკაფიოდ დგას, რაც გამოიხატება საუბრებში რეფერენდუმის შესახებ, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას

ექსპერტებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ვაჭრობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, აფხაზური და ქართულ საზოგადოებების დაინტერესებულ მხარეებს შორის 1.5 დიალოგის ფორმატში გამართული შეხვედრების მასალები. კვლევის შემზღვეველ გარემოებას წარმოადგენს აფხაზეთში ეკონომიკაზე სანდო მონაცემების ნაკლებობა, რაც გამორიცხავს ზუსტ ეკონომიკურ გათვლებს, თუ კონკრეტულად რა სარგებელს ნახავს სოხუმი თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ საკუთარი პროდუქციის რეალიზების შედეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით, კვლევის მიზანს წარმოადგენს ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთათვის ამ თანამშრომლობის შესაძლო სარგებელზე უფრო სიღრმისეულად და ამომწურავად გაანალიზებისთვის საჭირო საუბრების ხელშეწყობა.

ისტორიული ექსკურსი

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში, საქართველოში კონფლიქტის ორი კერა წარმოიქმნა - ერთი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, მეორე კი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.⁴ 1992-1993 წლებში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტს შედეგად უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. ბრძოლების შედეგად დაახლოებით 8,000 ადამიანი დაიჭრა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა სულ მცირე 12,000 აღწევდა.⁵ აფხაზეთიდან გაძევებულ იქნა 300 ათასამდე ეთნიკური ქართველი,⁶ რაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) ეთნიკურ წმენდად აღიარა.⁷ მასშტაბური შეტაკებები 1993 წელს დასრულდა, როდესაც რუსული ძალების და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების მხარდაჭერით მოქმედმა აფხაზურმა ძალებმა ქართული ჯარები რეგიონიდან განდევნეს. შედეგად, თბილისმა აფხაზეთზე კონტროლი დაკარგა.

შესაძლებლობას მისცემდა „ხმა მიეცათ“ ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებისთვის და შესაბამისად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე რუსეთი რეფერენდუმის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს, ყირიმის პრეცედენტი ცხადყოფს, რომ აღნიშნული შესაძლებლობა ნებისმიერ დროს შეიძლება იქნას გამოყენებული.

⁴აღნიშნული სუბიექტების ოფიციალური სახელწოდებები საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში.

⁵ History: Georgian-Abkhaz Conflict. Conciliation Resources. ხელმისაწვდომია: <http://148.251.69.135/where-wework/caucasus/history-georgian-abkhaz-conflict>

⁶Protection of Internally Displaced Persons in Georgia: A Gap Analysis, UN High Commissioner for Refugees (UNHCR), 2009 წლის ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://www.unhcr.org/4ad827f59.pdf>

⁷ბუდაპეშტის სამიტის დეკლარაცია, ეუთო, 1994. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/mc/39554?download=true>

ლისაბონის დოკუმენტი, ეუთო, 1996. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/mc/39539?download=true>

სტამბოლის დოკუმენტი, ეუთო, 1999. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/mc/39569?download=true>

1993 წლის სოჭის შეთანხმებით⁸ და ერთი წლის შემდეგ ხელმოწერილი მოსკოვის შეთანხმებით⁹ ოფიციალურად გაფორმდა კონფლიქტის მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტა. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში ადგილზე არსებული ვითარების კონტროლის და პოლიტიკური დარეგულირების მიღწევისთვის საჭირო მუშაობის წარმართვის მიზნით დსთ-ის სამშვიდობო ძალები¹⁰ და გაეროს სადამკვირვებლო მისია (UNOMIG) ჩამოყალიბდა. გაეროს ჩართულობის მიუხედავად, რუსეთი არ დაკმაყოფილდა სამშვიდობო შეთანხმებით მისთვის გათვალისწინებული როლით და საკუთარი, როგორც რეგიონში ერთადერთი ორგანიზებული და ფუნქციონირებადი სამხედრო და პოლიტიკური ძალის გავლენისა და პოზიციების გაძლიერების მიზნით, კონფლიქტის ინსტრუმენტალიზაციას შეეცადა. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ დათანხმდა საქართველო 1993 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანებას, სწორედ, ოფიციალური თბილისის¹¹ კონფლიქტის მოგვარების იმედს უკავშირდებოდა. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს მოლოდინის საპირისპიროდ, რუსეთის გაცილებით აღმატებულმა პოლიტიკურმა და სამხედრო წონამ არსებული ბალანსი დაარღვია და თბილისსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის გრძელვადიანი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა¹² გაანადგურა. 1990-იან წლებში, თბილისსა და სოხუმს შორის გამართული ასობით შეხვედრას და ხელმოწერილ დოკუმენტებს შედეგი არ მოჰყოლია.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ კონფლიქტის მოგვარების ახალი იმედები გააჩინა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით სააკაშვილის მთავრობის მიერ საკმაოდ ხისტი რიტორიკის მიუხედავად, ხელისუფლებამ ასევე წამოაყენა რამდენიმე სამშვიდობო ინიციატივა აფხაზეთთან და ცხინვალთან/სამხრეთ ოსეთთან

⁸შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შესახებ, 1993 წლის ოვლისი. ხელმისაწვდომია:
https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GE_930727_AbkhaziaCeasefireAndArrangementsToMonitorObservance.pdf

⁹შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორების შესახებ, 1994 წლის მაისი. ხელმისაწვდომია:
https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GE_940514_AgreementCeasefireSeparationOfForces.dpf

¹⁰რეალურად, აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში დისლოცირებული „სამშვიდობო“ ძალები წარმოადგენდნენ რუსული ძალების კონვენციურ ქვეით ქვედანაყოფებს, რომლებიც საომარი მოქმედებების შემდეგ რეგიონში დარჩნენ და არ გაუვლიათ მომზადება სამშვიდობო მისიის განხორციელების მიზნით.

¹¹გარდა ამისა, ოფიციალურმა მოსკოვმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია საქართველოში არსებული ოთხი სამხედრო ბაზის განუსაზღვრელი ვადით შესანარჩუნებლად. თუმცა, საქართველოდან გასვლა ათი წლის შემდეგ მაინც მოუწიათ (აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო ბაზის გარდა, რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის პროცესი 2007 წელს დასრულდა).

¹²საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საერთაშორისო დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი კომისია, Official Journal of the European Union, 2019 წლის სექტემბერი. ხელმისაწვდომია:
https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC_38263_08_Annexes_ENG.pdf

დაკავშირებით, მათ შორის შეთავაზება საქართველოს შემადგენლობაში „სპეციალური სტატუსით“ შესვლაზე, რომელიც განხორციელდებოდა „მნიშვნელოვანი ავტონომიურობის ხარისხის მქონე რესპუბლიკებით შექმნილი ფედერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით“¹³. გარდა ამისა, საქართველომ სცადა რუსეთთან ჩართულობის განახლება და კონფლიქტის მოგვარების პირობებზე ახლიდან მოლაპარაკება. თუმცა, სააკაშვილის მთავრობის მისწრაფებები საქართველოს ევროკავშირში და ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ, ისევე როგორ აშშ-სთან მისი მჭიდრო კავშირები, წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილების და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის გავლენის სფეროში მოქცევის სტრატეგიულ ამბიციასთან.

ახალი რეალობა: 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები

საქართველოს მიერ დასავლეთთან კავშირების გაღრმავება კრემლის მზარდი შემფოთების საგანს წარმოადგენდა. 2006 წელს რუსეთმა საქართველოს ეკონომიკური ემბარგო დაუწესა და ეთნიკური წარმომავლობის და ეროვნული ნიშნის საფუძველზე, დიდი რაოდენობით რუსეთში მცხოვრები ქართველების ძალადობრივი დეპორტაცია განხორციელა¹⁴. გარდა ამისა, რუსეთი თანდათანობით მოემზადა სამხედრო ინტერვენციისთვის საქართველოში და სეპარატისტული რეგიონების აქტიური მილიტარიზაცია წამოიწყო. ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, როდესაც საქართველომ და უკრაინამ „ალიანსის წევრობის“¹⁵ პირობა მიიღეს, საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესაჩერებლად რუსეთმა სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო. ომი ასევე მიზნად ისახავდა დასავლეთისთვის გზავნილს, რომ საქართველო კრემლის „პრივილიგირებული ინტერესების სფეროში“ შედიოდა და რუსეთი არ მოითმენდა საქართველოში დასავლური სტრუქტურების გაძლიერებას. ომის შემდეგ, საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შუამავლობით ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეში დარღვევით, მოსკოვმა აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა, რამაც ფუნდამენტურად შეცვალა კონფლიქტების ლანდშაფტი: 2008 წლამდე, რუსეთი ოფიციალურად სამშვიდობო პროცესის შუამავალს წარმოადგენდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ უკვე ღიად გახდა კონფლიქტის მხარე.

¹³Tracey German, 2006 წლის ივნისი, Abkhazia and South Ossetia: Collision of Georgian and Russian Interests, French Institute of International Relations. ხელმისაწვდომია: <https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/germananglais.pdf>

¹⁴მოგვიანებით რუსეთმა საქართველოსთან საქმე წააგო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში, რომელმაც რუსეთს უკანონო დეპორტაციით დაზარალებულებისთვის ჯამში 10 მილიონი ევროს მოცულობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-189019%22%5D%7D>

¹⁵ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია, ნატო, 2008 წლის 3 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

2008 წლის ომმა გაამწვავა არსებული გამოწვევები და მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. ომის შემდეგ, აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების მიზნით, კრემლმა მალევე წამოიწყო სხვა სახელმწიფოების „დარწმუნების“ აქტიური კამპანია. საქართველოს მიერ წარმოებულმა არაღიარების პოლიტიკამ, რომელმაც მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა ჰპოვა, წარმატებით შეძლო რუსეთის ძალისხმევის შეკავება. შედეგად, აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ,¹⁶ ნაურუმ და სირიამ სცნეს, ხოლო ტუვალუმ და ვანუატუმ უკან გაიწვიეს საკუთარი აღიარება.

ომის შედეგად რუსეთმა კიდევ უფრო გაიფართოვა კონტროლი აფხაზეთზე და რეგიონში 5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე და მძიმე სამხედრო შეიარაღება განალაგა. 2010 წელს მოსკოვმა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გააფორმა შეთანხმება, რომლის თანახმადაც რუსეთმა ოფიციალურად მიიღო 49 წლით სამხედრო ყოფნის უფლება.¹⁷ გარდა ამისა, რუსეთმა აფხაზეთში 22 სამხედრო დასახლება და S-300 ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები განათავსა. მოსკოვი კიდევ უფრო აძლიერებს სოხუმზე ზეწოლას, მათ შორის რუსი ოფიციალური პირები ინიშნებიან მაღალ თანამდებობებზე უშიშროების ორგანოებში, სხვადასხვა „სამინისტროებში“ და „მუნიციპალიტეტებში“. რუსეთი ასევე აწარმოებს აქტიური დეზინფორმაციის კამპანიას „სპუტნიკის“ და სხვა პროპაგანდისტული მედიასაშუალებებით და რეგიონს ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევს.¹⁸ რუსეთის შეუზღუდავი დომინირება აფხაზეთზე, რასაც სოხუმის ცენტრში მდებარე რუსეთის საელჩოს უზარმაზარი შენობა განასახიერებს,¹⁹ აფხაზური ელიტის ცალკეული ნაწილის და იმ მოქალაქეების გაღიზიანებას იწვევს, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ რუსეთის ტოტალურ კონტროლს და სხვა ალტერნატივებზეც იფიქრონ.

ომის შემდეგ სამხედრო ყოფნის გაძლიერების პარალელურად, რუსეთი აქტიურად იყენებს „ბორდერიზაციის“ სტრატეგიას, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ნორმების და 2008 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით ახორციელებს.

¹⁶ხუან გუაიდოს ხელმძღვანელობით მოქმედი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ვენესუელა გააუქმებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებებს. აშშ-ში ვენესუელას წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის კარლოს ვეკიოს განცხადებით, მისი მთავრობა მიზნად ისახავს საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენას და აფხაზეთსა და ცხინვალზე/სამხრეთ ოსეთზე საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას.

¹⁷ “Russia Gains Military Base in Abkhazia,” Radio Liberty, 2010 წლის 17 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://www.rferl.org/a/Russia_Gains_Military_Base_In_Abkhazia/1960545.html

¹⁸GRASS-ის ინტერვიუები სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, 2018 წლის ოქტომბერი.

¹⁹ Thomas De Waal, Enhancing the EU’s Engagement with Separatist Territories, Carnegie Europe, 2017 წლის იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://carnegieeurope.eu/2017/01/17/enhancing-eu-s-engagement-with-separatist-territoriespub-67694>

ტერმინი „ბორდერიზაცია“ ნიშნავს, როგორც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ხელოვნური საზღვრის გავლებას (სასაზღვროს ნიშნების, მავთულხლართის, მავთულის ღობეების, თხრილების და ა.შ. მეშვეობით), ისე „სასაზღვრო“ ინფრასტრუქტურის თანდათანობით გადმოწევას საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში, რასაც ხშირად „მცოცავ ანექსიას“ უწოდებენ. „ბორდერიზაცია“ ქართულ საზოგადოებასა და საერთაშორისო თანამეგობრობაზე ზეწოლის განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს დაუცველობისა და მოწყვლადობის განცდის შექმნას. სოფელ ბერშუეთის მიმდებარედ გამავალი საოკუპაციო ხაზი ახლა აღმოსავლეთ-დასავლეთის მთავარი მაგისტრალიდან 350-400 მეტრში მდებარეობს, ხოლო ბაქო-სუფსას ნავთობსადენის ცალკეული მონაკვეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული²⁰.

2014 წელს, რუსეთმა აფხაზეთთან ე.წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა²¹. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს აფხაზური თავდაცვის, უშიშროების და საბაჟო სტრუქტურების სრულ ინტეგრაციას რუსულ სამართლებრივ სივრცეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმა სოხუმისათვის ფინანსური დახმარების გაგრძელების წინაპირობად აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა დააყენეს, რამაც სოხუმს შეთანხმებაზე უარის თქმის საშუალება აღარ დაუტოვა. აღნიშნული შეთანხმების გაფორმებით რუსეთმა აჩვენა, რომ იგი დე-ფაქტო ანექსიის პოლიტიკას ახორციელებს და რეგიონის უსაფრთხოებას დამატებითი რისკის ქვეშ აყენებს. ზემოხსენებულმა შეთანხმებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია არა მხოლოდ თბილისში, არამედ აფხაზურ საზოგადოებაშიც. აფხაზური საზოგადოების დიდმა ნაწილმა საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ხელშეკრულების საწყისი პროექტის მიმართ, რომელიც რუსეთის კიდევ უფრო ფართო კონტროლს ითვალისწინებდა. აფხაზებმა განსაკუთრებით მძლავრი წინააღმდეგობა გამოავლინეს რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებასთან დაკავშირებით, რაც რუსეთის მოქალაქეებს გზას გაუხსნიდა აფხაზეთში საკუთრების შესაძენად²². აფხაზური ელიტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის არავითარი სურვილი არ გააჩნია, შიშობდა რომ აღნიშნული ნაბიჯით მოსკოვი კონტროლის კიდევ უფრო გაძლიერების და აფხაზეთის „ლეგალურ მფლობელად“²³ ჩამოყალიბების შესაძლებლობას მოიპოვებდა. საერთო ჯამში,

²⁰ „ათი წელი ომიდან - რუსული ოკუპაციის შედეგები რიცხვებში“. FactCheck.ge, 2018 წლის 9 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/ka/story/36821-10-tseli-omidan-rusuli-okupatsiis-shedegebi-ritskhvebshi>

²¹ მოსკოვმა და სოხუმმა მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ახალ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. Civil.ge, 2014 წლის 24 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=28882>

²² „Vladimir Putin Signs Treaty with Abkhazia and Puts Tbilisi on Edge,“ Financial Times, 2014 წლის 24 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://www.ft.com/content/24239f90-73e8-11e4-82a6-00144feabdc0>

²³ Thomas De Waal, Enhancing the EU’s Engagement with Separatist Territories, Carnegie Europe, 2017 წლის იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://carnegieeurope.eu/2017/01/17/enhancing-eu-s-engagement-with-separatist-territoriespub-67694>

ხელშეკრულების პროექტში არსებული ტექსტის შეცვლის მიუხედავად, აფხაზური საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საბოლოო ხელშეკრულებით გამოწვეული უკმაყოფილება კვლავაც დარჩა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლების უკიდურესად შეზღუდვა, რომელიც კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების ხელოვნურ გაყოფას იწვევს და საზოგადოებებს შორის ნდობის მშენებლობის ძალისხმევას მნიშვნელოვნად ართულებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არსებული ექვსი მოქმედი გადასასვლელიდან, ამჟამად მხოლოდ ერთი - ენგურის ხიდი - ფუნქციონირებს და პერიოდულად ისიც თვითნებურად იკეტება. არსებული შეზღუდვები მძიმე ჰუმანიტარულ ფასად უჯდება მოსახლეობას. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები საზოგადოებები ზარალდებიან განათლებაში, ვაჭრობაში, სამედიცინო მომსახურებაში და საცხოვრებლის განვითარებაში არსებული შესაძლებლობების შეზღუდვით. აღნიშნულ შეზღუდვებს უფრო მძიმე შედეგებიც აქვთ, რადგან „რუს მესაზღვრეებს“ შეუძლიათ ადამიანების „საზღვრის უკანონო კვეთისთვის“ დაკავება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, 2008-2018 წლებში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების 1,864 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო მოქალაქეთა გატაცებები ყოველდღიურობად იქცა^{24,25}. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთასთან, დაკავებებთან და გატაცებასთან დაკავშირებული „ქცევის კოდექსის“ არარსებობა და არაპროგნოზირებადობა მწვავე ჰუმანიტარულ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც უფრო საფუძვლიან მიდგომებს მოითხოვს, მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

²⁴ „ათი წელი ომიდან - რუსული ოკუპაციის შედეგები რიცხვებში“. FactCheck.ge, 2018 წლის 9 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/ka/story/36821-10-tseli-omidan-rusuli-okupatsiis-shedegebi-ritskhvebshi>

²⁵ გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის შემთხვევებმა, რომლებიც რუსეთის მხარდაჭერით მოქმედი ძალოვანი უწყებების თანამშრომლებმა მოკლეს, საფუძველი დაუდო ოპოზიციაში მყოფი „ევროპული საქართველოს“ მიერ ინიცირებული „ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის“ შექმნას, რომელსაც მხარი დაუჭირა მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“. აღნიშნული სია წარმოადგენს აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ადამიანის უფლებათა უხეშ დამრღვევთა შავ სიას, რომელსაც მხარი დაუჭირა როგორც ევროპარლამენტმა შესაბამისი რეზოლუციით, ისე ევროსაბჭოს ასამბლეამ და აშშ-ის კონგრესმა. საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილი ყალბი ბრალდებით უკანონოდ იქნა დაკავებულ ცხინვალის რეგიონში. დაკავების მომენტიდან ადგილი ჰქონდა არჩილ ტატუნაშვილის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას, წამებას და არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც საბოლოოდ ცხინვალის რეგიონის უშიშროების ოფიცრების მიერ არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობით დასრულდა. საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორია აფხაზმა „მესაზღვრემ“ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ, საქართველოს კონტროლქვეშ არსებული სოფელ ხურჩას ტერიტორიაზე მოკლა. ამ დრომდე, გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისგებაში არ მიუციათ. იხ.: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2018-0266+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>

კონფლიქტის ყველაზე მძიმე შედეგების ატანა აღმოსავლეთ აფხაზეთის, გალის რაიონში მცხოვრებ 50 ათასამდე ქართველს უწევს, რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან ჩაგვრას ეთნიკურ ნიადაგზე. 2014 წელს, აფხაზეთის ახალმა ხელმძღვანელობამ „არჩევნების“ შედეგებზე გალის ხმების მნიშვნელოვანი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით²⁶ გალის რაიონში მცხოვრებთა დიდი ნაწილს „აფხაზური პასპორტები“ გაუუქმა. გალის მცხოვრებლებს სანაცვლოდ ცხოვრების უფლების დოკუმენტები დაურიგდათ, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პირის იდენტიფიცირებისა და საზღვრის კვეთისთვის, თუმცა ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკურ, სამოქალაქო და ეკონომიკურ უფლებებს აფხაზეთში. გალში მცხოვრებლებს, რომლებიც მრავალი ასპექტით განიხილებიან მეორე კლასის მოქალაქეებად, არ გააჩნიათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, არ შეუძლიათ აფხაზეთში ქონების შექმნა და დაწესებული აქვთ უამრავი დისკრიმინაციული შეზღუდვა, რომელიც ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის საფრთხეს ქმნის. აფხაზეთის ეთნოკრატიული რეჟიმი არღვევს გალში მცხოვრებთა ფუნდამენტურ უფლებებს, რასაც უკანასკნელ პერიოდში აკრიტიკებენ გარკვეული დაინტერესებული მხარეები სოხუმში, რომლებიც უფრო მეტად დეპოლიტიზებულ მიდგომას უჭერენ მხარს²⁷.

კონფლიქტის დარეგულირების ფორმატები და ინსტრუმენტები

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, კონფლიქტის შედეგების მოგვარების მიზნით შექმნილი მთავარი საერთაშორისო ფორმატია. მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები არიან ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროპის კავშირი (ევროკავშირი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო). ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ საქართველოს, აშშ-ის და რუსეთის, ასევე ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების წარმომადგენლები. დისკუსიები შემდეგი საკითხების ირგვლივ შექმნილ ორ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს: (1) ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის რეგიონებში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მათ შორის ძალის გამოუყენებლობა და საერთაშორისო უსაფრთხოების

²⁶ Thomas Hammarberg and Magdalena Grono, Human Rights in Abkhazia Today, 2017 წლის ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-ThomasHammarberg-and-Magdalena-Grono.pdf>

²⁷ Abkhazian Human Rights Commissioner Condemns Treatment of Gali Georgians,” OC Media, 2019 წლის 5 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://oc-media.org/abkhazian-human-rights-commissioner-condemns-treatment-of-galigeorgians/>

მექანიზმები, ასევე ნდობის მშენებლობის ზომები და (2) იძულებით გადაადგილებულ პირთა/ლტოლვილების დაბრუნება, ჰუმანიტარული დახმარება და ადამიანის უფლებები.²⁸

ერთის მხრივ რუსეთის, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს და საერთაშორისო პარტნიორების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიდან გამომდინარე, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებით ვერ ხერხდება აღნიშნული ფორმატის მანდატით გათვალისწინებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმის შესრულება. გარდა ამისა, ევროკავშირის ოფიციალური პირის ანონიმური განცხადებით,²⁹ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები გეოპოლიტიკური ვითარების მძევლად გადაიქცა. შედეგად, სახეზე გვაქვს მოლაპარაკებების პროცესის სტაგნაცია და ჩიხური ვითარება, რაც დიდწილად რუსეთის მიერ მოლაპარაკებების ფარგლებში აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების პოლიტიკური სტატუსის საკითხის წინ წამოწევითაა განპირობებული. აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების გაგრძელება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე ეს საერთაშორისო ჩართულობისა და დიალოგის ერთადერთი ფუნქციონირებადი და მდგრადი პლატფორმაა.

ამ დრომდე ჟენევის მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ მიღწევას 2009 წელს 24 საათიანი ცხელი ხაზით აღჭურვილი ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნა წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს უსაფრთხოების გარემოზე, მათ შორის ინციდენტებზე და გამოძიებაზე ოპერატიული და ადეკვატური რეაგირების, ჰუმანიტარულ დახმარებაზე რეალური წვდომის უზრუნველყოფის და სხვა ნებისმიერ საკითხს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილზე არსებულ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი დამაბულობის კერებთან უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის რეგულარული კონტაქტის საშუალებას იძლევა. ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი ასევე უზრუნველყოფს გაეროს, ევროკავშირის და ეუთო-ს წარმომადგენლების ჩართულობას. ხშირი ობსტრუქციისა და შეფერხებების მიუხედავად ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები 2009 წლიდან რეგულარულად იმართება. აღსანიშნავია, რომ ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი პოლიტიკური ნების და სტატუსზე ფოკუსირებული მოლაპარაკებებში, სტატუს-ნეიტრალური მიდგომის წარმატებული გამოყენების შედეგად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი ჯერ სრულყოფილად არ მუშაობს, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ინციდენტების შემდგომი მოქმედებების და გამოძიების ასპექტს, აღნიშნული მექანიზმი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

²⁸ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. ხელმისაწვდომია: <https://smr.gov.ge/ge/page/26/geneva-international-discussions>

²⁹ GRASS-ის ინტერვიუ ევროკავშირის ოფიციალურ პირთან. თბილისი, 2019 წლის თებერვალი.

ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ჩამოყალიბების გამოცდილება შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადამიანების გადაადგილების და (საბოლოო ჯამში) ტვირთების თავისუფალი გადაადგილების საკითხში წინსვლისათვის. საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა გარკვეული „ქვეყნის კოდექსის“ შესაქმნელად, რომელიც არ შეეხება სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს და სულ მცირე ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის გამყოფი ხაზის ცივილიზებულად და ღირსეულად გადაკვეთის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საჭიროა გადაადგილების თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების მხრიდან შეთავაზებული ზომების გულწრფელი განხილვა და საბოლოო ჯამში კონსენსუსის მიღწევა ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შექმნისას გამოყენებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით.

არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე საპასუხოდ და კონფლიქტის დარეგულირების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირმა შეუიარაღებელი, სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია) ჩამოაყალიბა, რომელიც 2008 წლიდან მოქმედებს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების მიმდებარე ტერიტორიაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის უმთავრეს ამოცანას განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმირება და საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს, მისიას არ ეძლევა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საშუალება.³⁰

კონცეპტუალურ დონეზე, ევროკავშირმა 2009 წელს „არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკა“ შეიმუშავა, რომელიც ორიენტირებულია კონფლიქტური რეგიონების დე-იზოლაციაზე მათი სუვერენულობის აღიარების გარეშე. აღნიშნული პოლიტიკა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აფხაზეთის აღიარებისთვის სხვა ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. დამატებით, ევროკავშირი „არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკის“ ფარგლებში მხარს უჭერს სხვადასხვა სტატუს-ნეიტრალური პროექტების განხორციელებას და 2008 წლიდან აფხაზეთში 40 მლნ ევროზე მეტი დახარჯა ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის და ა.შ. ხელშეწყობის მიზნით. მიუხედავად ტავისი მნიშვნელობისა, „არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკა“ ევროკავშირში პოლიტიკის დისკუსიებში ზოგჯერ მივიწყებულია³¹ და ამ პოლიტიკის ამბიციური მიზნების მიღწევა ვერ

³⁰ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი. ხელმისაწვდომია: https://grass.org.ge/uploads/other/2020-02-11/573.pdf?fbclid=IwAR2vDxY2ETL-M7sbMJLD8QOiYPwq9YbaSk-8zhIXCX-4I6ERSuZh2_e6Fao

³¹ Thomas De Waal, Enhancing the EU's Engagement with Separatists Territories, Carnegie Europe, 2017 წლის იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Todayreport-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf>

ხერხდება. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ევროკავშირი ოპტიმიზმის ნაკლებობის და ზოგადად გამოფიტულობის პრობლემა აქვს, რამაც უარყოფითად იმოქმედა აფხაზეთთან ურთიერთობის ენთუზიაზმზე. ევროკავშირის სჭირდება მიდგომების განახლება და ქმედებების გაუმჯობესება, რადგან ბრიუსელის როლი დიდწილად გადაწონა, როგორც რუსეთის ეკონომიკურმა გავლენამ, ასევე მისმა სამხედრო და პოლიტიკურმა ყოფნამ აფხაზეთში.

თბილისის მიდგომა ნდობის მშენებლობის მიმართ

აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მიდგომა ოკუპირებული რეგიონების მიმართ ალბათ უფრო მეტად იზოლაციონისტურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, 2010 წლიდან, აღნიშნული მიდგომის ჩართულობის პოლიტიკით ეტაპობრივად ჩანაცვლება დაიწყო. ახალი მიდგომის ფარგლებში, 2010 წელს საქართველომ წარმოადგინა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“.³² აღნიშნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის უმთავრეს მიზანს აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის იზოლირების შემსუბუქება, საზოგადოებრივი ცხოვრებაში მონაწილეობის და სარგებელზე წვდომის გაზრდა და ამ გზით, გაყოფილი საზოგადოებების შერიგებისთვის ნიადაგის მომზადება წარმოადგენდა.

2012 წელს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გააგრძელა 2010 წლის ჩართულობის სტრატეგია. ახალმა მთავრობამ, ასევე, გააგრძელა 2011 წელს ინიცირებული საქართველოს სახელმწიფო რეფერალური პროგრამა, რომელიც აფხაზეთის მცხოვრებლებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის და უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას აძლევს.³³ წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა აფხაზეთიდან. 2014-2017 წლებში, აღნიშნული მომსახურებით საერთო ჯამში 6,188 პაციენტმა (მათ შორის ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან) ისარგებლა, რაც სახელმწიფოს დაახლოებით 17 მლნ ლარი დაუჯდა.³⁴ პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთში მატერიალური და ადამიანური რესურსების სიმწირის გათვალისწინებით, როდესაც ყველაზე მარტივი სამედიცინო მომსახურებაც კი ხშირად ხელმიუწვდომელია. აღნიშნული პროგრამის შეზღუდვების მიუხედავად (პროგრამა არ ფარავს საცხოვრებელთან დაკავშირებულ

³²„სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით, 2010 წლის 27 იანვარი. ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)

³³აფხაზეთში მცხოვრები აფხაზური, ქართული და სომხური საზოგადოებები.

³⁴ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018 წლის აპრილი. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/medical_care_expenses_of_patients_living_in_occupied_territories

საჭიროებებს, მათ შორის ოჯახის თანმხლები პირებისთვის, ასევე სამედიცინო მომსახურების შემდგომ რეაბილიტაციის ხარჯებს და სხვა), იგი პოზიტიურ როლს ასრულებს ნდობის მშენებლობის პროცესში. რეფერალური პროგრამის გარდა, საქართველომ რამდენჯერმე გაუწია აფხაზეთის სამედიცინო სამსახურს მატერიალური და ტექნიკური დახმარება და მიმდინარეობს მუშაობა ცე-ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის რეგიონზე გავრცელებასთან დაკავშირებით.

უკანასკნელ წლებში, თბილისი ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობის შესაძლებლობებს განათლების სფეროში. 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ წამოაყენა ინიციატივა სახელად „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მოიცავს ვაჭრობისა და განათლების სფეროებს. საგანმანათლებლო ინიციატივა მიზნად ისახავს აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებთათვის, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოვებას.³⁵ აღნიშნული ინიციატივა პასუხობს აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს, რომელთა შორისაა ინსტიტუციური განუვითარებლობის და არაპროფესიონალიზმის, ასევე ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობის დეფიციტის პრობლემა. განსაკუთრებით მწვავედ დგას უმაღლესი განათლებისათვის ახალგაზრდების მომზადების დაბალი დონის საკითხი (ისევე როგორც უცხო ენების არცოდნა), რაც საქართველოს რეფორმების ასოციაციამ აფხაზმა პარტნიორებთან საუბრისას გამოკვეთა.

ახალი შესაძლებლობები განათლების სფეროში

აღნიშნული ინიციატივის უმთავრეს მიზნებს შორის არის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა, აფხაზური ენის დაცვა და განვითარება, საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის შესაძლებლობის გაზრდა და გამარტივება, ასევე პროფესიული განათლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა. ინიციატივაში მოცემულია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის „ერაზმუს+“-ის პროგრამაში, ვიშეგრადის ქვეყნების სტიპენდიის ფონდში, გაერთიანებული სამეფოს „ჩივინგის“ სასტიპენდიო პროგრამაში, გერმანულ „დაად“-ში და ა.შ. აფხაზი სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობის პერსპექტივა. გარდა ამისა, ინიციატივა ითვალისწინებს სასწავლო მომზადების ცენტრის დაარსებას და საჭიროებებზე ორიენტირებული შესაბამისი პროგრამების ჩამოყალიბებას აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღებისათვის მოსამზადებლად. ცენტრი ფოკუსირებული იქნება საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება და სწავლის უნარჩვევები, კომპიუტერული პროგრამები, უცხო ენები, ეროვნული გამოცდები,

³⁵აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარება. ხელმისაწვდომია: https://www.smr.gov.ge/uploads/prev/_a2beda36.pdf

საერთაშორისო პროგრამები და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთის მცხოვრებლების მიერ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების მიღების ალბათობა დაბალია, უფრო ხელსაყრელ ვარიანტს წარმოადგენს ევროპულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან პარტნიორობით მსგავსი ცენტრების საზღვარგარეთ ჩამოყალიბება. ევროპულ ქვეყნებში 4-6 თვიანი მოსამზადებელი პროგრამით³⁶ შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად აფხაზეთიდან 15 სტუდენტის განათლების უზრუნველყოფა. მოსამზადებელი პროგრამის გავლის შემდეგ, მონაწილეები მზად იქნებიან „ერაზმუს“-ით ან სხვა სასტიპენდიო პროგრამით სწავლა ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში განაგრძონ. აღნიშნულმა შესაძლოა მნიშვნელოვანი პოზიტიური ზეგავლენა იქონიოს აფხაზეთის მსგავს პატარა საზოგადოების განვითარებაზე.³⁷

აფხაზეთი - ეკონომიკური მდგომარეობა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, აფხაზეთი გარე სამყაროსგან იზოლირებული აღმოჩნდა და რუსეთის ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებაზე მისი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. რუსეთი წარმოადგენს აფხაზეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორს (ან შეიძლება ითქვას „სავაჭრო პატრონს“), სადაც 2015-2016 წლებში აფხაზეთი „იმპორტის“ 80%-ს რუსული პროდუქცია შეადგენდა, ხოლო იმავე პერიოდში მთლიანი აფხაზეთი „ექსპორტის“ 60% რუსეთზე მოდიოდა. რუსეთში ექსპორტირებულ ნაწარმს შორის არის ციტრუსი, თხილი, თევზი, ალკოჰოლური სასმელები, ნედლი შეშა და ხე-ტყე, ხოლო რუსულ „იმპორტულ“ საქონელს შორის არის ნავთობი, თამბაქო, ფქვილი და სხვა პირველადი მოხმარების საგნები.³⁸

იზოლაციის მიუხედავად, 1990-იან წლებში არსებულ პოსტკონფლიქტურ ვითარებასთან შედარებით უკანასკნელ ათწლეულში აფხაზეთი ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა, ეს გაუმჯობესება ძირითადად მოსკოვის საბიუჯეტო დახმარებას უკავშირდებოდა, რომელიც ორ კომპონენტად - ე.წ. „საინვესტიციო პროგრამის“ და „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახმარების“ მეშვეობით ხორციელდება. სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტი მოიცავს მთავრობის საქმიანობით გათვალისწინებულ ზოგად ხარჯებს, მათ შორის განათლებაზე, ჯანდაცვაზე და პოლიციაზე გამოყოფილ დაფინანსებას. შესაბამისად,

³⁶ მოსამზადებელი ცენტრისთვის შესაძლოა ხელსაყრელი აღმოჩნდეს ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად საუბრობს, აფხაზეთიდან ჩამოსული სტუდენტები უფრო ადვილად შეძლებენ თანატოლებთან ურთიერთობების დამყარებას.

³⁷ GRASS-მა აღნიშნული იდეა საქართველოში „ერაზმუს +“-ის ოფისის წარმომადგენლებთან, საქართველოს მთავრობასთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან და აფხაზ დაინტერესებულ პირებთან განიხილა. ყველა შემოჩამოთვლილმა იდეას წინასწარი მხარდაჭერა გამოუცხადა.

³⁸ Abkhazia and South Ossetia: Time to Talk Trade, International Crisis Group, 2018 წლის 24 მაისი. ხელმისაწვდომია: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/249-abkhazia-and-south-ossetia-time-talktrade>

აფხაზეთი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთის ფინანსურ მხარდაჭერაზე და ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარების გარეშე, ეკონომიკის განვითარება უმნიშვნელოა.

უკანასკნელი წლების მანძილზე აფხაზეთში რუსული სუბსიდიების მოცულობა შემცირდა. 2013 წელს, აფხაზეთის ბიუჯეტის 75%-ს რუსული ფინანსური დახმარება შეადგენდა, თუმცა ეს რიცხვი 2018 წლისთვის 50%-მდე შემცირდა.³⁹ 2017 წლის აბსოლუტურ მაჩვენებლებში გამოსახული აფხაზეთის ბიუჯეტი 10.2 მლრდ რუსულ რუბლს (დაახლოებით 155 მლნ აშშ დოლარი) შეადგენდა, საიდანაც რუსული სუბსიდიის წილი დაახლოებით 5.2 მლრდ რუბლს (დაახლოებით 80 მლნ აშშ დოლარს) უტოლდებოდა.⁴⁰ დე-ფაქტო ხელისუფლების განმარტებით, აფხაზეთში რუსული დაფინანსების შემცირება, ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსულობების მოცულობის ზრდით იყო განაპირობებული. თუმცა, რეალურად, რუსული ფინანსური ნაკადების შემცირება ერთის მხრივ, მოსკოვის წინაშე მდგარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს, მათ შორის ნავთობზე მსოფლიო ფასების ვარდნას, საერთაშორისო სანქციებს, სირიის ომს, ყირიმის ანექსირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მიმდინარე აგრესიას უკავშირდებოდა. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში, რუსეთიდან მიღებული შემოსავლის კლების ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.

აფხაზეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა კორუფციის მაღალი დონე და ადმინისტრაციული შესაძლებლობების დეფიციტია. რუსი თანამდებობის პირებიც კი (დე-ფაქტო ოპოზიციის ლიდერების მსგავსად) აცხადებენ, რომ არ ხდება რუსეთიდან გადმორიცხული სახსრების სათანადო გამოყენება, რომლის უმთავრეს მიზეზს აფხაზეთის დე-ფაქტო ინსტიტუტებში მომუშავეთა არაპროფესიონალიზმი და გავრცელებული კორუფცია წარმოადგენს. 2018 წლის 12 დეკემბერს, ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში მინისტრის მოადგილემ იგორ კოშინმა, სოხუმისთვის გამოყოფილ რუსულ ფინანსურ დახმარებას ღიად უწოდა „ფულის ფლანგვა“, ერთის მხრივ, არაეფექტური ხარჯვის და მეორეს მხრივ, ათვისებაში დაფიქსირებული ხარვეზების მიზეზით.⁴¹

³⁹ „აფხაზეთში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რუსული დახმარების წილის შემცირებაზე იმსჯელეს“ („В Абхазии рассказали, как снизилась доля российской помощи за пять лет“), Ria Novosti, 2018 წლის 5 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://ria.ru/20180805/1525964994.htm>

⁴⁰ აფხაზეთის დე-ფაქტო სტატისტიკის სამსახური, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. გამოქვეყნებულია 2018 წლის 8 აგვისტოს. ხელმისაწვდომია: <http://ugsra.org/>

⁴¹ „იგორ კოშინი: „ არ ღირს მხოლოდ რუსული დახმარების იმედად ყოფნა“ („Игорь Кошин: Не стоит рассчитывать только на российскую помощь“), Abkhazia Inform, 2018 წლის 18 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: <http://abkhazinform.com/item/7953-igorkoshin-ne-stoit-rasschityvat-tolko-na-rossijskuyu-pomoshch-reshenie-mnogikh-problem-zavisit-imenno-otmestnogo-naseleniya>

უმნიშვნელო წინსვლის მიუხედავად,⁴² აფხაზეთში კვლავ მწვავედ დგას ეკონომიკური ჩამორჩენილობის და სიღარიბის, ასევე საბაზისო სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაბალი სტანდარტების, მათ შორის საბაზრო რესურსების და დასაქმების შესაძლებლობების პრობლემა, რაც განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. დაბალი ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობის მაღალი დონე აფხაზეთის ორ მთავარ გამოწვევად რჩება.⁴³ დე-ფაქტო ხელისუფლების მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობა 250 000 ადამიანს შეადგენს,⁴⁴ საიდანაც სამუშაო ძალაში 145,000 ადამიანი ირიცხება (42,000 დასაქმებულიდან 26,000 საჯარო სექტორში მუშაობს).⁴⁵ დაბალია შრომის ანაზღაურებაც. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად (რომლებმაც 2018 წელს უმნიშვნელო ცვლილება განიცადეს), აფხაზეთში საშუალო ხელფასი 10,300 რუსულ რუბლს შეადგენს (დაახლოებით 156 აშშ დოლარი).⁴⁶ გამომდინარე იქიდან, რომ 2013-2016 წლებში, რუბლმა აშშ დოლართან მიმართებით ღირებულების თითქმის ნახევარი დაკარგა, აფხაზეთში რუბლის მსყიდველუნარიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2016 წლის მდგომარეობით, 162 რუბლი იყო საჭირო იმ ყველაფრის შესაძენად, რისი შეძენაც 2010 წელს 100 რუბლით იყო შესაძლებელი.⁴⁷ ინფლაციის მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე

⁴²2009-2017 წლებში, რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 44.6 მლნ რუსულ რუბლს შეადგენდა, რაც 2010 წლის გაცვლითი კურსით დაახლოებით 1.5 მლნ აშშ დოლარს უტოლდებოდა. თუმცა, 2017 წლის გაცვლითი კურსით, ეს თანხა 770,000 აშშ დოლარამდე შემცირდა. აღნიშნული დახმარებით განხორციელდა ინფრასტრუქტურის, მათ შორის სამთავრობო დაწესებულებების და გზების აღდგენითი სამუშაოები.

⁴³ Sonja Katharina Schiffrers, *The Intricacies of International Assistance to De Facto States Human Security and International Engagement in Abkhazia*, Centre for German and European Studies, 2015 წლის აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://zdes.spbu.ru/images/working_papers/wp_2015/WP-Schiffers1.pdf

⁴⁴ ოფიციალური თბილისი ეჭვქვეშ აყენებს ამ მონაცემების სანდოობას.

⁴⁵ აფხაზეთის დე-ფაქტო სტატისტიკის სამსახური არ აწარმოებს უმუშევრობის სტატისტიკას. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უმუშევრობის დონე უხეში დათვლით შემდეგი სახისაა: თუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობას, ანუ 42,000 ადამიანს გავყოფთ მთლიან სამუშაო ძალაზე - 145,000 ადამიანზე, უმუშევრობის დონე იქნება 70%. თუმცა, აღნიშნულ დათვლაში არ შედის მოსახლეობის თვითდასაქმებული ნაწილი, რომელთა რაოდენობა შესაძლოა უტოლდებოდეს დასაქმებული ადამიანების რაოდენობას. სოფლის მეურნეობაში მომუშავე პირები, ტაქსისტები, კერძო პედაგოგები და ა.შ. შესაძლოა თვითდასაქმებულთა კატეგორიას მივაკუთვნოთ.

⁴⁶ აფხაზეთის დე-ფაქტო სტატისტიკის სამსახური, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. გამოქვეყნებულია 2018 წლის 8 აგვისტოს. ხელმისაწვდომია: <http://ugsra.org/otchetnost.php>

⁴⁷ აფხაზეთში მცხოვრები რუსული პასპორტის მფლობელთა პენსიები, 2008 წლამდე ათასობით აფხაზური ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. საპენსიო ასაკის ათასობით მცხოვრები პენსიას რუსეთის საპენსიო ფონდის წარმომადგენლობისგან იღებს. რუსეთის საპენსიო ფონდის ყველაზე ახლოს მდებარე ოფისი რუსეთის ქალაქ ადლერში მდებარეობს. 2012 წლიდან, აფხაზეთში მცხოვრებ პირებს, რომლებიც რუსულ პენსიას იღებდნენ, დაევალებათ საკუთარი საცხოვრებელი სტატუსის აფხაზური მისამართით განახლება. 2014 წლამდე, აღნიშნული პირები რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში მცხოვრებ პენსიონერებთან შედარებით საშუალოდ 40%-ით ნაკლებ პენსიას იღებდნენ („საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ ანგარიშიდან).

შემცირდა შინამეურნეობების საშუალო შემოსავალიც.⁴⁸ საერთო ჯამში, რუსეთზე ფინანსურმა დამოკიდებულებამ, რუბლის გაუფასურების შედეგად შეამცირა აფხაზეთის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა. აფხაზეთს, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტზე, მუდმივად უწევს მზარდი სამომხმარებლო ფასების პრობლემასთან გამკლავება.

საბჭოთა პერიოდში, აფხაზეთი შავი ზღვის რივიერად მიიჩნეოდა და როგორც საბჭოთა პოლიტიკური ნომენკლატურის, ისე საბჭოთა კავშირის მოქალაქეების, მათ შორის რუსების საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. დღევანდელ დღეს, ტურიზმი აფხაზეთი ეკონომიკის ლოკომოტივად მიიჩნევა. აფხაზეთის ტურიზმისა და კურორტების დე-ფაქტო მინისტრის განცხადებით, ტურისტული ვიზიტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს, აფხაზეთში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 1 მილიონს მიაღწია, საიდანაც 550,000 ტურისტი იყო, ხოლო დანარჩენებმა ვიზიტორებმა აფხაზეთში 24 საათზე ნაკლები დრო გაატარეს. დე-ფაქტო „მინისტრის“ განცხადებით, ტურისტული ინფრასტრუქტურის საერთო შესაძლებლობები მოიცავს 300 სასტუმროს 25,000 საწოლით.⁴⁹ მიუხედავად ამისა, ტურისტული სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა შორისაა უხარისხო ინფრასტრუქტურა, ინვესტიციების ნაკლებობა, სეზონური ხასიათი და რუსი ტურისტების დაბალშემოსავლიანობა.⁵⁰ დე-ფაქტო „მინისტრის“ განცხადების საპირისპიროდ, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა აფხაზეთში ყოველწლიურად კლებულობს კრიმინალის მაღალი დონის, უხარისხო სერვისების და ინფრასტრუქტურის მიზეზით.⁵¹ აფხაზეთის ტურიზმის ინდუსტრია მორიგ დარტყმას მიიღებს, თუ Airbnb

⁴⁸ თუმცა, დე-ფაქტოს ხელისუფლებამ შეძლო 2008 წელს დაფიქსირებული მაღალი ინფლაციის 19.2%-დან 2015 წელს 9.1%-მდე და საბოლოოდ 2017 წელს 4%-მდე შემცირება. იხ.: აფხაზეთის დე-ფაქტო სტატისტიკის სამსახური, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ხელმისაწვდომია: <http://ugsra.org/otchetnost.php>

⁴⁹ „სოხუმში გაიმართა აფხაზეთის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას და კურორტებისა და ტურიზმის მინისტრ ავთანდილ ღარჯკიას შეხვედრა“ (“Встреча президента Абхазии Рауля Хаджимба и министра по курортам и туризму республики Автандила Гарцкия прошла в Сухуме”), Sputnik Abkhaz, 2018 წლის 16 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20181116/1025651836/Million-turistov-i-problema-s-servisompodvedeny-itogi-kursezona-2018-goda.html>

⁵⁰ Economy in Breakaway Abkhazia: Development or Standstill,” Business Caucasus Week, 2015 წლის 14 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://old.cbw.ge/economy/economy-in-breakaway-abkhazia-development-or-standstill/>

⁵¹ „ასლან ბჟანია: „ოპოზიცია მომავალშიც თანმიმდევრულად და საჯაროდ დაიცავს მოქალაქეთა ინტერესებს, რა ძალისხმევადაც არ უნდა დაუჯდეს ეს“ (“Аслан Бжания: ‘Оппозиция и вперёд будет последовательно и публично отстаивать интересы граждан, каких бы учились это ей не стоило”)), Abkhazia Inform, 2018 წლის 18 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8214-aslan-bzhaniya-oppozitsiya-i-vpred-budetposledovatelno-i-publichno-otstaiyat-interesy-grazhdan-kakikh-by-usilijs-eto-ej-ne-stoil>

საკუთარ ვებგვერდზე აფხაზეთიდან განთავსებულ საცხოვრებლების განცხადებებს აღნიშნული ტერიტორიის საერთაშორისო აღიარების არარსებობის მიზეზით აიღებს.⁵²

ტურიზმის გარდა, აფხაზეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 6,000 ჰექტარ ფართობზე ციტრუსი მოჰყავდათ, თუმცა დღევანდელ დღეს აღნიშნული ფართობი 1,200 ჰექტარამდე შემცირებული.⁵³ თხილით და ციტრუსებით (ძირითადად მანდარინით) სახელგანთქმულ აფხაზეთს შეუძლია ზეთისხილის, ავოკადოს და კივის მოყვანაც, ასევე მაღალი ხარისხის ჩირის და ჩაის წარმოება. თუმცა, ფინანსურ რესურსებსა და ინვესტიციებზე, ასევე გადამამუშავებელ ქარხნებზე, კვალიფიციურ მუშახელსა და ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომის პირობებში სოფლის მეურნეობის სექტორი აფხაზეთში კვლავაც მცირდება.

საერთო ჯამში, აფხაზეთი ეკონომიკის სისუსტე და მისი განმაპირობებელი ფაქტორები მრავალწახნაგოვანია. ზოგიერთი ფაქტორი სისტემურია, ზოგიერთი კრიმინოგენურ ვითარებას უკავშირდება, ზოგიც თანამედროვე უნარჩვევებისა და ცოდნის დეფიციტითაა გამოწვეული. ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს კონკრეტულ ფაქტორთა წყება, მათ შორის კლანური მმართველობა, კრიმინალის მაღალი დონე, განუვითარებელი ფინანსური სექტორი, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, დაბალი დონის სამართლებრივი სისტემა და ჩრდილოვანი ეკონომიკა.⁵⁴ მსოფლიო ბანკის გლობალური მშპ-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით, 2018 წლის აფხაზეთის მშპ დაახლოებით 30.4 მლრდ რუსულ რუბლს შეადგენდა (დაახლოებით 450 მლნ აშშ დოლარს), რომლითაც აფხაზეთი მსოფლიოში 185-ე ადგილს იკავებდა. მიუხედავად იმისა, რომ დე-ფაქტო ხელისუფლების მონაცემებზე დაყრდნობით 2013 წლიდან 2017 წლამდე აფხაზეთის მშპ 21%-ით გაიზარდა (5.25% საშუალო წლიური ზრდა),⁵⁵ სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავაც მწვავეა. აფხაზეთი საზოგადოება ზოგადად აღიარებს „ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესებას“. დე-ფაქტოს პარლამენტის წევრმა და 2019 წლის „საპრეზიდენტო არჩევნებზე“ ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა ასლან ბჟანიამ ისიც კი განაცხადა, რომ „აფხაზეთი სახელმწიფო ინგრევა, სახელმწიფო ინსტიტუტები დეგრადაციას განიცდის,

⁵² "Airbnb არ განათავსებს შეთავაზებებს აფხაზეთიდან და ცხინვალისაგან", Commersant.ge, 2019 წლის 12 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://commersant.ge/ge/post/airbnb-ar-ganatavsebs-shetavazebebs-afxazetidanda-cxinvalidan>

⁵³ "აფხაზეთი მანდარინის რუსულ ბაზარზე ჯერ ვერ ვიხილავთ" ("Абхазских мандаринов на российском рынке пока не будет"), AccentNews, 2017 წლის 10 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://eadaily.com/ru/news/2017/11/09/abkhazskihmandarinov-na-rossiyskom-rynke-poka-ne-budet>

⁵⁴ Socio-economic system of Abkhazia and problems of its development, International Alert. ხელმისაწვდომია: <https://www.international-alert.org/blogs/socio-economic-system-abkhazia-and-problems-its-development>

⁵⁵ აფხაზეთის დე-ფაქტო სტატისტიკის სამსახური. ხელმისაწვდომია: <http://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php>

უმუშევრობა იზრდება და დანაშაულის და კორუფციის მასშტაბები სახიფათო ზღვარს აღწევს“.⁵⁶

შესაძლებლობის ფანჯარა

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარება ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ამას აფხაზეთში რუსული მიმდევრობის სამხედრო და პოლიტიკური ყოფნა გამოორიციხავს. ამავდროულად, ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონში მყოფი კოლეგებისგან განსხვავებით, აფხაზეთის მმართველი ელიტას რუსეთთან გაერთიანების სურვილს არ გამოხატავს. ამასთან, აფხაზები ნაკლებ მოქნილობას თბილისთან სტატუსის საკითხის თაობაზე, ვიდრე, მაგალითად, დნესტრისპირეთის მმართველ ელიტა ავლენს ოფიციალურ კომინიოვთან. თუმცა, კვლავაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თბილისი და სოხუმი შეძლებენ გვერდი აუქციონ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს და „ისაუბრონ ვაჭრობასა და ეკონომიკაზე“. ამას შესაძლო ხელი შეუწყოს რუსეთის ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა დაღმასვლამ და კრემლის გაზრდილმა ძალისხმევამ აფხაზეთზე კონტროლის გაფართოების მიზნით.⁵⁷ აღნიშნულმა ტენდენციებმა შესაძლოა სოხუმს თბილისთან სავაჭრო თანამშრომლობის დამატებითი მოტივაცია შეუქმნას, რადგან სავაჭრო შესაძლებლობების გაფართოება უკვე ფუფუნება კი არა, აუცილებლობა ხდება. აფხაზები სულ უფრო მკაფიოდ აცნობიერებენ, რომ თბილისი გარე სამყაროზე წვდომის გასაღებია. ზოგიერთი აფხაზი თანამოსაუბრე ღიად აღიარებს, რომ შეთანხმების მიღწევა სწორედ მათ ინტერესებშია, მაგალითად, საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან საქონლის „იმპორტთან“ დაკავშირებით, რადგან თურქეთიდან შავი ზღვის გავლით „იმპორტი“ ან რუსეთიდან შეტანა პროდუქციას მნიშვნელოვნად აძვირებს. მეორეს მხრივ, მათი შემფოთების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თბილისთან სავაჭრო კავშირების განვითარებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს აფხაზეთის „დესუვერენიზაციას“.⁵⁸

აფხაზების ამბივალენტური დამოკიდებულება ვლინდება ენგურის ხიდზე მიმდინარე პროცესებთან მათ მიდგომაში. მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზური რეგულაციები“ ვაჭრობას კრძალავს, დე-ფაქტო ხელისუფლება ყოველდღიურად ხუჭავს თვალს გამყოფ ხაზზე

⁵⁶ასლან ბჟანია: „ოპოზიცია მომავალშიც თანმიმდევრულად და საჯაროდ დაიცავს მოქალაქეთა ინტერესებს, რა ძალისხმევადაც არ უნდა დაუჯდეს ეს“ (“Аслан Бжания: ‘Оппозиция и вперёд будет последовательно и публично отстаивать интересы граждан, каких бы учились это ей не стоило’”), Abkhazia Inform, 2018 წლის 18 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8214-aslan-bzhaniya-oppozitsiya-i-vpred-budetposledovatelno-i-publichno-otstivat-interesy-grazhdan-kakikh-by-usilij-eto-ej-ne-stoil>

⁵⁷გარდა ამისა, აფხაზები სულ უფრო აქტიურად უსვამენ ხაზს, რომ აფხაზები და ქართველები მონათესავე ეთნოსებია და შესაბამისად აფხაზები გაცილებით ახლოს არიან ქართველებთან, ვიდრე რუსებთან.

⁵⁸ GRASS-ის ინტერვიუები აფხაზეთის დე-ფაქტო „ოფიციალურ“ პირებთან, 2018 წლის ოქტომბერი.

საქონლის ბრუნვაზე. 2015 წლიდან, ერთადერთი ნებადართული „საექსპორტო“ საქონელი თბილისი და ე.წ. „საზღვარზე“ სხვა ნებისმიერი რამის შეტანა დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ „კონტრაბანდად“ კვალიფიცირდება.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე „არაფორმალური“ ვაჭრობის დაშვება მიუთითებს, რომ სოხუმს თბილისთან ვაჭრობის გახსნის საჭიროება და სურვილიც გააჩნია. გარდა ამისა, დე-ფაქტო ხელისუფლებამ თავს უფლება მისცა, ღიად დაეჭირა მხარი გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის უფრო გამჭვირვალე და ეფექტური მენეჯმენტისთვის. მაგალითად, გასულ წელს, აფხაზეთის დე-ფაქტო „პრეზიდენტმა“ რაულ ხაჯიმბამ საჯაროდ განაცხადა თბილისთან ვაჭრობის „ლეგალიზების“ საჭიროების შესახებ.⁵⁹ დამატებით, პირად საუბრებში მრავალი აფხაზი გამოთქვამს მზადყოფნას თბილისთან სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად.⁶⁰

სოხუმსა და თბილისს შორის ეკონომიკური ურთიერთქმედება კრემლის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, რადგან ეს რუსეთის ფინანსურ ტვირთს შეამსუბუქებს. 2018 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში რუსეთის წარმომადგენელი გრიგორი კარასინი ვაჭრობისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობას შეეხო და აღნიშნა, რომ მათი განხილვა შესაძლებელია მომხდარიყო ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში, უფრო ძნელად მოსაგვარებელი და ჩიხური პოლიტიკური და სამხედრო საკითხების (მაგალითად, ძალის გამოყენებლობა) განხილვის გვერდზე გადადებით. მიუხედავად ამისა, გულუბრყვილობა იქნება იმის დაშვება, რომ თბილისსა და სოხუმს შორის სავაჭრო კონტაქტების ამოქმედებას მოსკოვი უმოქმედოდ შეხვდება. ყოველ შემთხვევაში, სავაჭრო ურთიერთობების თანდათან განვითარება, სამანევრო სივრცეს შეუქმნიდა საერთაშორისო აქტორებსაც, მაგალითად, ევროკავშირს, რომლებსაც კრემლთან ვაჭრობის გაფართოებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების თავისუფლების საკითხებზე მუშაობის მეტ შესაძლებლობას მისცემდა.

თბილისმა და სოხუმმა, თუ მათ რეალურად სურთ საკუთარი საზოგადოებების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებზე ზრუნვა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან და განსაკუთრებით კი ევროკავშირთან ერთად, უნდა მოახერხონ პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლა და შეძლონ საკუთარი საჭიროებების სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტების და ფორმატების გამოყენებით რეალიზება. ზოგიერთი აფხაზი შიშობს, რომ სავაჭრო ურთიერთობებს შესაძლოა აფხაზეთის „დესუვერენიზაცია“ მოჰყვეს. როგორც მოლდოვას და კვიპროსის მაგალითები გვაჩვენებს, გამყოფი ხაზების მხარეს სავაჭრო ურთიერთობებს

⁵⁹ “პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მხარს უჭერს საქართველოსთან საზღვარზე ვაჭრობის ლეგალიზებას” (“Президент Рауль Хаджимба выступает за легализацию торговли на границе с Грузией”), *Commerzant*, 2018 წლის 30 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://www.kommersant.ru/doc/4103931>

⁶⁰ GRASS-ის მიერ ოფიციალური პირების მონაწილეობით ორგანიზებულ შეხვედრებზე (1.5 დიალოგის ფორმატი), აფხაზმა თანამოსაუბრებმა, მათ შორის მაღალი რანგის პირებმა განაცხადეს, რომ მათაც შეეძლოთ აფხაზური საქონლის „ექსპორტი“ საქართველოს მიერ გაცემული წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ამგვარმა სავაჭრო კავშირებმა რეალურად შეუწყვეს ხელი გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოებების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გვერდის ავლით, არსებულ გარემოებებშიც კი, ვაჭრობასა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ქართველებთან თანამშრომლობის მიზნით, აფხაზებს შეუძლიათ უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმა და რუსეთისგან მეტი თავისუფლების მოპოვება.

ევროკავშირთან ვაჭრობა - რეალური შესაძლებლობა

უკანასკნელი წლების განმავლობაში გამყოფი ხაზის გასწვრივ „არაფორმალური“ ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ თანახმად, აფხაზეთის დე-ფაქტო „ოფიციალური“ პირების განცხადებით, ყოველდღიურად კონფლიქტის ხაზს 150 ტონა კომერციული ტვირთი კვეთს, ხოლო ტვირთების ყოველწლიური ღირებულება 7-დან 15 მლნ აშშ დოლარამდე მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სოხუმის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, ადგილობრივ აფხაზურ ბიზნესს რუსეთის მიღმა ალტერნატიულ სავაჭრო მარშრუტებთან, მათ შორის ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირების სურვილი ამოდრავებთ.⁶¹ ევროკავშირ-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ახალ შესაძლებლობებს უქმნის ადგილობრივ ბიზნესსა და მომხმარებლებს აფხაზეთში, რადგან მათ შეეძლებათ სარგებელი ნახონ თავისუფალი ვაჭრობიდან, როგორც საკუთარი პროდუქციის ევროპულ ბაზრებზე გატანით, ისე საქონლის იაფად შესყიდვით. ამ მიზნით, სოხუმი და თბილისი, ბრიუსელის მხარდაჭერით, იდეალურ შემთხვევაში წარმოშობის სერტიფიკატებთან და პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით კონკრეტულ სტატუს-ნეიტრალურ მოდალობებზე უნდა შეთანხმდნენ (მაგ.: ტირასპოლს და ბრიუსელს შორის გაფორმებული სამოქმედო გეგმა ევროკავშირთან ვაჭრობის ხელშეწყობის ზომების გატარების შესახებ). ამასთან, მსგავსი ტიპის შეთანხმების მიღწევამდეც კი, რასაც შესაძლოა საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს, აფხაზებს შეეძლებათ თავისუფალი ვაჭრობით სარგებლობა სპეციალური, ad-hoc ხასიათის შეთანხმებების საფუძველზე, რის შესაძლებლობასაც „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ინიციატივა იძლევა.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომლის ნაწილიც არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა, 2014 წელს მოაწერა ხელი. შეთანხმება ძალაში 2016 წელს შევიდა. დოკუმენტის 429-ე მუხლის თანახმად, შეთანხმება არ ვრცელდება აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებზე. თუმცა, ამავე შეთანხმების პრეამბულაში ღიად აღნიშნულია, რომ ევროკავშირი და საქართველო ვალდებულიებას

⁶¹ Abkhazia and South Ossetia: Time to Talk Trade, International Crisis Group, 2018 წლის 14 მაისი, გვ. 9-11. ხელმისაწვდომია: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/249-abkhazia-and-south-ossetia-time-talktrade>

იღებენ ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებით და ეკონომიკური ინტეგრაციით გათვალისწინებული სარგებლის მიღება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის კონფლიქტით გაყოფილი საზოგადოებებისთვის უზრუნველყონ.⁶² თბილისის 2018 წლის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ინიციატივაში სტატუს-ნეიტრალური მოდალობებით ევროკავშირ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების აფხაზურ ბიზნესსა და მომხმარებლებზე გავრცელების შესაძლო სარგებელი ასახულია.

მოლდოვას შემთხვევა აჩვენებს, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის გავრცელებამ კონფლიქტით გაყოფილ მხარეებზე, პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებზე კონცენტრირების გარეშე, შესაძლოა, ხელშესახები პროგრესი მოიტანოს. გარკვეულწილად, დნესტრისპირეთი აფხაზეთისთვის არარელევანტური მოდელია: პირველ რიგში, იმიტომ, რომ მოსკოვს არ უღიარებია დნესტრისპირეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც ეს აფხაზეთის შემთხვევაში გააკეთა. მეორეს მხრივ, აფხაზეთისგან განსხვავებით, დნესტრისპირეთს რუსეთთან პირდაპირი საზღვარი არ აქვს. გარდა ამისა, დნესტრისპირეთს ევროკავშირის ბაზრების გახსნის და „აღიარების“ მიღმა ფიქრის მძლავრი ეკონომიკური სტიმული გააჩნდა. ტირასპოლი ტრადიციულად ძლიერი ინდუსტრიული მხარე იყო და ევროკავშირის ბაზრებზე წვდომით ჯერ კიდევ ევროკავშირ-მოლდოვას ასოცირების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერამდე სარგებლობდა.⁶³

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს იმდენი დასაკარგი არ აქვს, რამდენიც დნესტრისპირეთს, სოხუმს შეუძლია მაინც მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს ევროკავშირთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობით. აფხაზეთი მსოფლიოში თხილის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია და აღნიშნული პროდუქტი დასავლეთში ხუთჯერ უფრო ძვირი ღირს ვიდრე

⁶²ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. 2014 წელი. გვ. 6. ხელმისაწვდომია:

[https://eur-lex.europa.eu/legalcontent/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legalcontent/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02))

⁶³აფხაზური პერსპექტივით, რუსეთთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებმა სოხუმს გამყოფ ხაზზე „ვაჭრობის ლიბერალიზების“ შესახებ მოლაპარაკებების დაწყებისკენ უნდა უბიძგოს. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციის და გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური პარტნიორია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა შეინარჩუნა და გაიმყარა პოზიციები საქართველოს სამ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის. ამას გარდა, რუსეთი საქართველოს საექსპორტო ნაწარმის, კერძოდ ღვინისა და მინერალური წყლების გასაღების წამყვანი ბაზარია. 2018 წელს, რუსეთი მესამე ადგილს იკავებდა საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობის მხრივ (ტურისტების საერთო რაოდენობის 23.8%). რუსეთი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია, მათ შორის საბანკო, მობილური კავშირგაბმულობის, ღვინის ინდუსტრიის, ინფრასტრუქტურის, ენერჯეტიკის და სხვა სფეროებში. დამატებით, რუსეთში მცხოვრები ასობით ათასი ქართველი საქართველოში ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს აგზავნის, რითაც რუსეთი საქართველოში ფულადი გადარიცხვების მოცულობით წამყვანი ქვეყნის პოზიციას იკავებს.

რუსეთში.⁶⁴ აფხაზეთი ასევე მდიდარია მინერალური წყლებით და გააჩნია როგორც ღვინის, ისე სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების წარმოების პოტენციალი. გარდა ამისა, აფხაზეთისთვის უფრო იაფი „იმპორტული“ საქონლის მოძიების საჭიროება და მოტივაცია აქვთ, რადგან სატრანსპორტო, სატარიფო და სხვა ბარიერების შედეგად რუსეთთან და თურქეთთან „ვაჭრობა“ ძვირია, ხოლო ადგილობრივი წარმოება უმნიშვნელო მოცულობისაა. შესაბამისად, ევროკავშირ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის აფხაზურ ბიზნესსა და მომხმარებლებზე განვრცობის პერსპექტივა ნამდვილად იმსახურებს განხილვას, განსაკუთრებით აფხაზური პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილში, რომელიც ევროპასთან და ევროპულ ბაზრებთან წვდომის იმედს ინარჩუნებს. უკანასკნელ წლებში ევროკავშირმა სოხუმთან ნიადაგის მოსინჯვა დაიწყო. აფხაზური ელიტის (და ზოგადად საზოგადოების) სენსიტიურობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკურ სტატუსს უკავშირდება, რადან მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის მიერ წაყენებული მოთხოვნები „აფხაზური საქონლის ექსპორტის“ შესახებ, მათი „სტატუსის“ დაცვას გაართულებს. თბილისმა შესაბამისი ხედვა შეიმუშავა, სადაც გათვალისწინებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს აფხაზეთის წუხილების მინიმიზაცია, როგორ უნდა წარიმართოს სავაჭრო ურთიერთობები გამყოფ ხაზზე და როგორ უნდა განხორციელდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობით გათვალისწინებული სარგებლის პრაქტიკული განვრცობა აფხაზურ ბიზნესსა და მომხმარებლებზე.

2018 წელს გამოქვეყნებული ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ უზრუნველყოფს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მოყვანილი ან დამზადებული პროდუქციის, როგორც საქართველოს შიდა ბაზარზე, ისე საზღვარგარეთულ ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი პრივილიგიებული საექსპორტო შესაძლებლობის, მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენებით. ამ მიზნით, ინიციატივა, აფხაზეთს საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებისა და მეწარმედ დარეგისტრირებისთვის გამარტივებულ, სტატუს-ნეიტრალურ პროცედურას სთავაზობს. პრაქტიკული თვალსაზრისით, აფხაზ მეწარმეებს აღნიშნული ინიციატივით, მათი გადმოსახედიდან „სუვერენულობის“ დათმობის გარეშე ეძლევათ კომერციულ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ინიციატივა აფხაზეთის მაცხოვრებლებს აუცილებელი საიდენტიფიკაციო ნომრის (პირადი ნომრების) მიღების შესაძლებლობას აფხაზეთში გაცემული დოკუმენტების საფუძველზე და საქართველოს მოქალაქეობის მიღების გარეშე სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ იგივე პროცედურის გავლა უწევს საქართველოში ბიზნეს საქმიანობის წამოწყების მსურველ ნებისმიერ უცხო ქვეყნის

⁶⁴ Abkhazia and South Ossetia: Time to Talk Trade, International Crisis Group, 2018 წლის 24 მაისი. ხელმისაწვდომია: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/249-abkhazia-and-south-ossetia-time-talktrade>

მოქალაქეს.⁶⁵ აღნიშნული ინიციატივის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის მუშავდება რამდენიმე საკანონმდებლო შესწორება.⁶⁶ აღნიშნული პროცედურები გზას უხსნის ზემოხსენებული ინიციატივის მთავარი მიზნის მიღწევას: აფხაზური ბიზნესისთვის საკუთარი ნაწარმის, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ (მაგალითად, ევროკავშირის ბაზრები) რეალიზების შესაძლებლობის მიცემა (ქართველი შუამავლების გარეშე), თანაც საგადასახადო შეღავათებით, მათ შორის, მაგალითად, დღგ/მოგების/საშემოსავლო გადასახადებისგან გათავისუფლებით. ბიზნესის მფლობელებს, ასევე, შეუძლიათ განაცხადის შეტანა გრანტის მოსაპოვებლად.⁶⁷

მოლდოვური გამოცდილება წარმოადგენს საინტერესო პრეცედენტს, თუ როგორც შეძლეს კიშინიოვმა და ტირასპოლმა კომპრომისის მიღწევა და ევროპელი დიპლომატების და ვაჭრობის ექსპერტების შუამავლობით რეგიონის ღრმა და ამომწურავი თავისუფალი ვაჭრობის ზონასთან დამაკავშირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ძირითად მოთხოვნებს შორისაა:⁶⁸ (1) ევროკავშირთან საბაჟო სატარიფო რეჟიმის სტანდარტიზაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმება მოითხოვს იმპორტზე ტარიფების ორმხრივად გაუქმებას, ტირასპოლმა შესაბამისად უნდა შეცვალოს სატარიფო პოლიტიკა; (2) დნესტრისპირეთი უზრუნველყოფს მოლდოვას კომპეტენტური ორგანოების მუდმივ დაშვებას კომპანიების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების და ნაწარმის ხარისხის შემოწმების მიზნით, რაც ადრე სპეციალური, ad-hoc მექანიზმებით ხორციელდებოდა და (3) ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შესაძლო შემაფერხებელი არასატარიფო ბარიერების შემცირების მიზნით, დნესტრისპირეთმა ეკონომიკური და სავაჭრო კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზება უნდა მოახდინოს.⁶⁹

⁶⁵გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობა. შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2018 წელი.

⁶⁶გათვალისწინებულია ცალკეული შესწორებების შეტანა საქართველოს კანონშიც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

⁶⁷„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, სამშვიდობო ინიციატივა ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ, 2018 წელი, გვ. 16. ხელმისაწვდომია: https://www.smr.gov.ge/uploads/prev/Concept_GE_7dd46c38.pdf

⁶⁸ Stanislav Secrieru, “Transnistria Zig-zagging towards a DCFTA,” PISM Policy Papers, 2016 წლის იანვარი. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/21052155/Transnistria_Zig-zagging_towards_a_DCFTA

⁶⁹თუმცა, მოლდოვას შემთხვევაში თომას დე ვალი მიუთითებს, რომ „პრაქტიკული თვალსაზრისით, დნესტრისპირეთის მთავრობა ამ დრომდე თავს არიდებს ზოგიერთი საკვანძო ზომის დანერგვას (მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იმპორტზე მოსაკრებლის გაუქმება), რომელზეც დათანხმდა, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონას უერთდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „დნესტრისპირეთის შენელებული ქმედება აღნიშნულ მოთხოვნებთან დამორჩილების კუთხით ამ დრომდე ყურადღების მიღმა რჩება, რადგან ბრიუსელისთვის შეთანხმების პოლიტიკური მნიშვნელოვან ფერო ფასეულია“ (Enhancing the EU’s Engagement with Separatists Territories, Carnegie Europe, 2017 წლის იანვარი).

თბილისი-სოხუმი-ბრიუსელის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნების შესრულება სოხუმსაც დაევალება. თბილისის ინიციატივა რიგი ზემოხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის გამოსავალს გვთავაზობს. ასეთ საკითხებს შორისაა წარმოშობის და ხარისხის სერტიფიცირება (რომელიც მოითხოვს უფლებამოსილი ორგანოების მიერ ჩატარებულ ინსპექციას და შემდგომ სერტიფიცირებას). თბილისი აფხაზ ბიზნესმენებს/მეწარმეებს ხარისხის შესაბამისი სერტიფიკატის კერძო ლაბორატორიების მეშვეობით მოპოვების შესაძლებლობას სთავაზობს. აღნიშნული დათქმა სტატუს-ნეიტრალური ინსპექტირებისა და ხარისხის სერტიფიცირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. თუ სოხუმი ამ ეტაპზე არ მიიღებს ხარისხის შემოწმების პროცედურის გავლის შეთავაზებას ადგილზე ქართველი სპეციალისტების მიერ ან თბილისში მდებარე ლაბორატორიებში, ალტერნატივა იქნება სოხუმში ინსპექტირებისა და ხარისხის სერტიფიცირების ჩატარება ევროკავშირის მიერ სერტიფიცირებული უცხოური კომპანიების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. აღნიშნული ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, თუმცა ნამდვილად შეიძლება წარმოადგენდეს ალტერნატიულ შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ წარმოშობის სერტიფიკატთან დაკავშირებული საკითხები უფრო კომპლექსურია. გამომდინარე იქიდან, რომ დნესტრისპირეთის (მოლდოვა) ან კვიპროსის გამოცდილება შესაძლოა საქართველოს შემთხვევაში სრულად რელევანტური არ იყოს, მოცემულ ეტაპზე წარმოშობის სერტიფიკატის საკითხის მოგვარების ძალიან ცოტა რეალისტური ვარიანტი არსებობს. მაშინ როდესაც ტირასპოლი უფრო მოქნილი აღმოჩნდა და მოლდოვა-ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობით კომინიოვის მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე იღებს სარგებელს, მსგავსი შესაძლებლობა აფხაზეთის შემთხვევაში ამ ეტაპზე შეზღუდულია. „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ინიციატივის ფარგლებში, თბილისი აფხაზურ ბიზნესს და მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის საქართველოში დამზადებულის ნიშნით „ექსპორტირების“ შესაძლებლობას სთავაზობს. აფხაზური ბიზნესის და პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილი ასეთ შესაძლებლობას (გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) იზიარებს.⁷⁰ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევებს სპეციალური, ad-hoc ხასიათი ექნებათ და არა გრძელვადიანი გადაწყვეტის, ეს მაინც ხელს შეუწყობს გამყოფ ხაზზე ვაჭრობას, ისევე როგორც ადამიანების და საქონლის გადაადგილების თავისუფლებას (მათ შორის პოლიტიკური ან სხვა მიზნებით საქონლის ბრუნვის თვითნებური შეფერხების რისკების შემცირებით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული შეთავაზება საწყის ეტაპზე, სპეციალური მექანიზმების მეშვეობით „კონტრაბანდის ლიბერალიზებას“ მოიაზრებს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნულ სპეციალურ მექანიზმებს. ამასთან, არ უნდა დავაკნინოთ კომინიოვ-ტირასპოლის შეთანხმების ჩვენ სიტუაციაზე ადაპტირებული ხელშეკრულების მნიშვნელობა. შესაბამისად, საჭიროა ასეთი შეთანხმების გაფორმებაზე

⁷⁰ GRASS-ის ინტერვიუები აფხაზეთის დე-ფაქტო „ოფიციალურ“ პირებთან, 2018 წლის ოქტომბერი.

მიმართული ძალისხმევის მაქსიმალურად გაზრდა, რადგან ამ გზით იქნება შესაძლებელი სავაჭრო ურთიერთობების გრძელვადიანი მოგვარება.

აფხაზური პროდუქციის ქართული წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებით შესაძლო უთანხმოების თავიდან ასარიდებლად, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფმა 2018 წელს ახალი ჰიპოთეტური ვარიანტი წამოაყენა. აღნიშნული ვარიანტი გულისხმობს დამოუკიდებელი საერთაშორისო კომპანიების მოწვევას, რომლებიც აფხაზურ პროდუქციას ადგილზევე მიანიჭებენ იმავე კოდს, რომელიც ქართული ნაწარმის წარმოშობის სერტიფიკატშია (EUR.1 დოკუმენტი). აღნიშნულის მისაღწევად, საქართველომ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ბრიუსელთან EUR.1 დოკუმენტაციის საფუძველზე აფხაზური საქონლის ევროპულ ბაზრებზე დაშვების თაობაზე, რაც არსებული სტრუქტურისგან განსხვავებით, გულისხმობს, რომ წარმოშობის ქვეყნის ნაცვლად მითითებულია წარმოშობის ქალაქი. წარმოშობის ქვეყანა მითითებული იქნება მხოლოდ საქართველოსთვის მითითებულ კოდზე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ეს ვარიანტი თბილისის მხრიდან დიდ პოლიტიკურ დათმობას წარმოადგენს,⁷¹ საქართველომ უკვე გამოთქვა სტატუს-ნეიტრალური ეტიკეტების გამოყენების მზადყოფნა. ახალი ინიციატივის მიხედვით, აფხაზური ნაწარმით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ვაჭრობისთვის, საკმარისი იქნება მხოლოდ მწარმოებლის დასახელება, ქალაქის/დასახლების სახელი (მაგალითად: სოხუმი, გაგრა და ა.შ.) და/ან მისამართი (ქუჩა, ნომერი). აღნიშნული ჰიპოთეტური ვარიანტის დეტალები პოლიტიკური შინაარსის მქონე გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად უფრო სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს.

აფხაზური ნაწარმის ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემა შტრიხკოდებს უკავშირდება, რომელიც შემადგენლობის შესაბამისად კონკრეტულ პროდუქტზეა განთავსებული. ერთი შეხედვით აღნიშნული საკითხის ტექნიკური ხასიათის მიუხედავად, რეალურად მასაც პოლიტიკური შემადგენელი გააჩნია. აფხაზური ნაწარმის „ექსპორტისთვის“ საჭიროა შესაბამისი ეტიკეტირება, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოიცავს სავაჭრო პროდუქციის გლობალურ საიდენტიფიკაციო ნომერს (GTIN)⁷² - რაც ყველა

⁷¹ ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ახალ ინიციატივასთან, სადაც დადგენილია, რომ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის, დეკლარირების, ინსპექტირების და სხვა ექსპორტთან დაკავშირებული პროცედურებზე პასუხისმგებელია შემოსავლების სამსახური.

⁷²სავაჭრო პროდუქციის გლობალური საიდენტიფიკაციო ნომერი არის GS1-ის მიერ სავაჭრო პროდუქციისთვის შემუშავებული მაიდენტიფიცირებელი. აღნიშნული მაიდენტიფიცირებლები გამოიყენება მონაცემთა ბაზაში პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით (ხშირ შემთხვევაში პროდუქტის კოდის შტრიხკოდის სკანერით შეყვანის მეშვეობით), რომელიც შესაძლოა ეკუთვნოდეს საცალო მოვაჭრეს, მწარმოებელს, კოლექციონერს, მკვლევარს ან სხვა სუბიექტს. მაიდენტიფიცირებლის უნიკალურობა და უნივერსალურობა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ ერთ მონაცემთა ბაზაში არსებული პროდუქტი, სხვა მონაცემთა ბაზაში არსებულ რომელ პროდუქტს

სახის ვაჭრობაში პროდუქციის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მსოფლიო მასშტაბით აღიარებული პროტოკოლია. აფხაზ პარტნიორებთან გამართულ დისკუსიებში, შტრიხკოდების საკითხის განხილვისას, აფხაზეთის წარმომადგენლებმა გარკვეულწილად მოქნილი მიდგომა გამოამჟღავნეს. საკითხის პოლიტიკური სენსიტიურობის მიუხედავად, პროგრესის მიღწევა შესაძლებელია. თუმცა, თუ შესაძლებელი იქნება სხვა ძირითადი პირობების დაკმაყოფილება, მაგრამ ვერ მოხერხდება შეთანხმების მიღწევა შტრიხკოდებთან დაკავშირებით, თბილისმა და სოხუმმა (ევროკავშირის ჩართულობით) შესაძლოა, ასევე, იფიქრონ სტატუს-ნეიტრალურ შტრიხკოდთან დაკავშირებით, სადაც სავაჭრო პროდუქციის გლობალურ საიდენტიფიკაციო ნომერს ქართული პრეფიქსი არ ექნება.⁷³

ერთი რამ ცხადია: ნებისმიერი სახის სავაჭრო მექანიზმის შესათანხმებლად და წარმატებით ასამოქმედებლად, აფხაზეთმა უნდა იფიქრონ „ჯერ აღიარება“ ფორმულის მიღმა⁷⁴ და გამოყოფა ხაზებზე ადამიანების და საქონლის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფით ხელი შეუწყონ საკუთარ დეიზოლაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზური ბიზნეს-წრეების და პოლიტიკური ელიტის ნაწილი მზადაა განიხილოს სხვა კონფლიქტურ ვითარებებში წარმატებით გამოყენებული სტატუს-ნეიტრალური პრაქტიკის დანერგვის საკითხი.⁷⁵ დროა აღნიშნული პრო-ბიზნეს დამოკიდებულება შესაბამის პოლიტიკაში

შეესაბამება, განსაკუთრებით ორგანიზაციული საზღვრების მომიჯნავედ. სავაჭრო პროდუქციის გლობალური საიდენტიფიკაციო ნომერი, როგორც წესი, დატანილია შტრიხკოდებზე, რომელშიც მითითებულია ქვეყანა, სადაც პროდუქციის მწარმოებელი კომპანია ოპერირებს. ეს გულისხმობს, რომ კომპანიას აღნიშნულ ადგილმდებარეობაზე გააჩნია სათავო ოფისი ან ფილიალი, თუმცა პროდუქტი შესაძლოა იყოს სხვა ქვეყანაში.

⁷³აღსანიშნავია, რომ კვიპროსის შემთხვევაში შტრიხკოდების საკითხმა გამოკვეთილად პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და კვიპროსმა უარი განაცხადა ჩრდილოეთ კვიპროსისთვის მიეცა საკუთარი შტრიხკოდების გამოყენების უფლება, ან მოლაპარაკება ეწარმოებინა სტატუს-ნეიტრალურ გადაწყვეტაზე.

⁷⁴არავისთვის გასაკვირი არ ყოფილა, რომ აფხაზეთის ოფიციალურმა პირებმა ღიად უარყვეს თბილისის ახალი ინიციატივა. აფხაზეთის დე-ფაქტო „საგარეო საქმეთა მინისტრის“ განაცხადებით „აფხაზეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ერთადერთი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ არის საქართველოს მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მომავალი თაობების სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისი დიალოგის ჩამოყალიბება“. ანალოგიურად, დე-ფაქტო „პრემიერ-მინისტრმა“ გენადი გაგულიამ განაცხადა, რომ იგი „მზად იყო საქართველოსთან ვაჭრობისთვის“, მაგრამ არ იყო მზად ამ მიზნით პოლიტიკურ დათმობებზე წასასვლელად. მან ასევე დასძინა, რომ სოხუმი ენთუზიაზმით შეხვდებოდა ევროკავშირის შეთავაზებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებლის აფხაზეთზე გავრცობასთან დაკავშირებით, საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში. იხ.: <https://carnegieeurope.eu/2018/12/03/abkhazia-stable-isolation-pub-77842>

⁷⁵ „International Alert“-ის კვლევა გამოყოფა ხაზებზე ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით აფხაზური და ქართული ბიზნესის განწყობების თაობაზე მიუთითებს, რომ ბიზნეს წრეებშიც პოლიტიკური საკითხები ეკონომიკურ სარგებელზე უფრო მნიშვნელოვანია. ბიზნესის წარმომადგენლებს, როგორც წესი, ნულჯამოვანი მიდგომა გააჩნიათ და არ ფიქრობენ „ჩარჩოებს მიღმა“ ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის შედეგად მიღებულ შესაძლო სარგებელზე.

გადაითარგმნოს. აღნიშნული პოლიტიკის საჭიროება აფხაზურმა პოლიტიკურმა ელიტამ შიდა აუდიტორიას შემდეგი მიზნების მისაღწევად პროაქტიულად უნდა მიაწოდოს: ა) აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება; ბ) ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერებით დასაქმების შესაძლებლობების შექმნა; გ) ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება. ამ თვალსაზრისით, თბილისის ინიციატივა ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის შემდგომ მოლაპარაკებებს. ამავდროულად, ბრიუსელმა უნდა განაგრძოს მოლაპარაკებები სოხუმთან თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის აფხაზურ ბიზნესზე და აფხაზ მომხმარებლებზე შესაძლო განვრცობის თაობაზე და პარალელურად, გააძლიეროს 1.5 დიალოგის ფორმატში მოლაპარაკებების მხარდაჭერა.⁷⁶

დასკვნა

ნდობის მშენებლობის პროცესი სტატუს-ნეიტრალური მიდგომის გამოყენებით უნდა წარიმართოს. აღნიშნულ მიდგომა, მისი პრინციპულად მიღების შემთხვევაში, შესაძლოა წარმატებით იქნას გამოყენებული ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა თავისუფალი გადაადგილება, ვაჭრობა, განათლება, სოფლის მეურნეობის და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამები, ჰუმანიტარული პროექტები, ასევე, ჯანდაცვა და უსაფრთხოება. სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტების მორგება ნდობის მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებებზე მომავალ წლებში მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებს; გააუმჯობესებს, როგორც კონფლიქტის შედეგად გაყოფილი საზოგადოებების ცხოვრების პირობებსა და კეთილდღეობას, ასევე, დადებით ზეგავლენას იქონიებს ზოგადად სამშვიდობო პროცესზე.

თბილისის ინიციატივა ვაჭრობის ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამავდროულად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული ინიციატივის უფრო ქმედითი

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მხარე არ გამორიცხავს სპეციალურ კანონებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ კონფლიქტის ხაზის გასწვრივ ბიზნეს ურთიერთობებს, რეალობა მაინც ასეთია: „ქართველებისთვის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ლეგალურობა, აფხაზებისთვის კი მნიშვნელოვანია ბიზნეს ურთიერთობების მორალური ფაქტორი“. თუმცა, კერძო საუბრებში, როგორც აფხაზური ბიზნეს-საზოგადოება, ისე დე-ფაქტო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო მეტად გახსნილია და მზადაა თანამშრომლობისთვის, სტატუსთან დაკავშირებული საკითხებზე არსებული წუხილის მოგვარების შემთხვევაში.

⁷⁶2014 წლიდან GRASS ახორციელებს ნდობის მშენებლობაზე ორიენტირებულ საქმიანობას და აღნიშნული პროცესის ფარგლებში დაამკვიდრა 1.5. დიალოგის ფორმატი, რაც ოფიციალური და არაოფიციალური სტატუს მქონე მონაწილეებს აძლევს შეხვედრის და კონფლიქტის დარეგულირების საკითხების განხილვის საშუალებას. ამ მხრივ, ბრიუსელს ასევე შეუძლია GRASS-ის რესურსების გამოყენება.

პრაქტიკული ნაბიჯებით მხარდაჭერა, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და უფრო ფართო ადამიანური და ფინანსური რესურსების ინვესტირება. ამასთან, ამ პროცესის წარმატებით წარმართვა მხოლოდ საქართველოს მთავრობის ძალისხმევაზე არ არის დამოკიდებული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური იდეებისა და ინიციატივების შემუშავების და აფხაზური საზოგადოების შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის მათი კომუნიკაციის საკითხში.

თავის მხრივ, აფხაზებმა უნდა წამოაყენონ შემხვედრი შეთავაზებები და უფრო მეტი მოქნილობა გამოამჟღავნონ რელევანტურ საკითხებზე სტატუს-ნეიტრალური მიდგომის თაობაზე. ვაჭრობაზე პოლიტიკური ხასიათის შეზღუდვების მოხსნა მსგავსი თანამშრომლობის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იქნება. ქართულ საზოგადოებასთან მზარდი ჩართულობა ხელს შეუწყობს აფხაზეთის დეიზოლაციას და უკეთეს პირობებს შექმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აფხაზებმა უნდა დაძლიონ ამჟამინდელი მიდგომები და პრაგმატული პოზიცია დაიკავონ თბილისთან ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით. აფხაზებს, ასევე, სჭირდებათ „სამინაო დავალების“ შესრულება და თბილისთან მსგავსი ტიპის „მსუბუქი“ ჩართულობისთვის მოსკოვიდან ღია ან ნაგულისხმევი „ნებართვის“ მოპოვებაზე მუშაობა.

პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია 1.5 დიალოგის ფორმატის გაძლიერება, რომელიც დიალოგის პროცესში ჩართვის, ნდობის მშენებლობის და ორმხრივად მომგებიანი ინიციატივების დანერგვის მიზნით სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ჩართულობას უზრუნველყოფს. შედეგებზე ორიენტირებული დიალოგის პლატფორმის და კომუნიკაციის გრძელვადიანი არხების ჩამოყალიბების მიზნით, ანალოგიურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეხვედრებს შორის მუშაობის წარმართვას. უკიდურესად მცირე გამონაკლისების გარდა, ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის მშენებლობის წარსულში არსებულმა გამოცდილებამ, როგორც ეს იყო მაგალითად შლანინგის პროცესის⁷⁷ ფარგლებში, აჩვენა, რომ ერთჯერადი და ფრაგმენტული შეხვედრები, გარკვეულწილად სტრუქტურირებული დიალოგის გარეშე, არ არის საკმარისი გრძელვადიანი პროგრესის მისაღწევად. გარდა ამისა, შესაბამის აქტორებს თბილისში ესაჭიროებათ კოორდინაციის ხარისხის გაუმჯობესება და თანამშრომლობისა და ინფორმაციის ეფექტური გაცვლის შესაბამისი ფორმატების შემუშავება.

თავის მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობამ, მათ შორის ევროკავშირმა უნდა გადახედონ საკუთარ მიდგომას საქართველოში არსებული კონფლიქტის მიმართ და უფრო აქტიურად

⁷⁷შლანინგის პროცესი იყო ქართველ და აფხაზ წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს და სამოქალაქო აქტივისტებს შორის „შერიგების რესურსების“ შუამავლობით წარმართული დიალოგის პროცესი. შლანინგის პროცესის ფარგლებში, 2000-2007 წლებში ქართველ და აფხაზ მონაწილეებს შორის გაიმართა 20 დიალოგი ვორკშოპის ფორმატში.

ჩაერთონ ნდობის მშენებლობის პროცესში. ევროკავშირი ნდობით სარგებლობს, როგორც თბილისში, ისე სოხუმში და სამშვიდობო პროცესში პრაქტიკული შედეგების მისაღწევად (განსაკუთრებული აქცენტით ვაჭრობისა და განათლების სფეროებზე) მან უფრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს რბილი ძალის ბერკეტები. საერთშორისო დონეზე, ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს ზეწოლა მოსკოვზე, რომ ამ უკანასკნელმა შეარბილოს აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს შორის დაწყებული ურთიერთობების მიმართ არსებული ამკრძალავი მიდგომა.